ბელცისა და ფალეშტის მთავარეპისკოპოსი მარკელი გაეროში სიტყვით გამოვიდა მოლდოვას მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეების უფლებების დასაცავად

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 24.09.2025. 2025 წლის 23 სექტემბერს ბელცისა და ფალეშტის მთავარეპისკოპოსი მარკელი ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-60 რეგულარულ სესიაზე სიტყვით გამოვიდა. იგი შეეხო მოლდოვას მართლმადიდებელ ეკლესიასა და ქვეყნის ხელისუფლებას შორის ურთიერთობის პრობლემას.

„ჩვენ უკიდურესად შეშფოთებულები ვართ ჩვენი კონფესიის მიმართ მოლდოვას ხელისუფლების პოზიციით. სულ ახლახან, მოლდოვას პრეზიდენტმა მაია სანდუმ უსაფუძვლოდ უწოდა ჩვენს ეკლესიას „რუსეთის ფედერაციის გავლენის ინსტრუმენტი“, – განაცხადა მთავარეპისკოპოსმა მარკელმა.

გარდა ამისა, მორწმუნეებს უკიდურესად ხანგრძლივ სასაზღვრო შემოწმებას უტარებენ, ხოლო ზოგიერთებს ფაქტობრივად უკრძალავენ ქვეყნიდან გასვლას, რაც არღვევს მათი გადაადგილების თავისუფლების უფლებას, –ხაზი გაუსვა მღვდელთმთავარმა: „მე სამჯერ შემიშალეს ხელი მოლდოვას საზღვრების დატოვებაში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე“.

მთავარეპისკოპოს მარკელის მოწმობით, მოლდოვაში უკვე დაფიქსირდა მოლდოვას მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოების სხვა რელიგიურ იურისდიქციაში გადაყვანის იძულებითი მცდელობის შემთხვევები. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი ეკლესიისთვის 800-ზე მეტი მონასტრისა და ტაძრის შენობების ჩამორთმევის მოთხოვნით.

„მინდა შევახსენო მოლდოვას ხელისუფლებას, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური ორგანიზაციები ღიად მოქმედებენ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში, სადაც მოლდოვა გაწევრიანებას ესწრაფვის და არავინ ზღუდავს მორწმუნეთა უფლებებს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან მათი ორგანიზაციული და კანონიკური კავშირების გამო. ვთხოვ, გაეროს მანდატის მფლობელებს, შეისწავლონ მოლდოვას მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა მდგომარეობა გაეროს სპეციალურ პროცედურებში ჩვენ მიერ წარდგენილი საჩივრების ფარგლებში, ასევე უზრუნველყონ საერთაშორისო დიპლომატიური ყურადღება ჩემ მიერ გამოკვეთილ პრობლემებზე, რათა შეიცვალოს მოლდოვას პოლიტიკა ჩვენს ეკლესიასთან მიმართებით შესაბამისად ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებისა“, – დაასკვნა მოლდოვას მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა.

მთავარეპისკოპოს მარკელის გამოსვლა შედგა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრების, ასევე გაეროს წევრი სახელმწიფოების დელეგაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების თანდასწრებით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93588/